კვირა, 26 ნოემბერი, 1917 წ.

კანტორა „განათლების“ ადრესი: თფილისი, ოლღას ქუჩა, № 6.

ფასი 35 კაპ.

რედაქციის ადრესი: ელისაბედის ქუჩა, № 137. ტელეფონი 18–17.

ეშმაკის მათრახი

№ 48

1917

ეროვნულ ყრილობაზე



საქართველო. მოდი, შვილო, აი ამ ბედოვლათმა ლამის სულ გაფლანგა ჩემი ქონება. რაღაც ცოტაოდენი გადარჩა, მოდი და შენ აიღე შენს გამრჯელ მშრომელ ხელში.

ქართული ეროვნული ყრილობა

19 ივლისისთვე.

ყრილობა გაიხსნა სახელმწიფო თეატრში, შუადღის პირველ საათზე.

კრება გახსნა აკაკი ჩხენკელმა.

ყრილობის თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა ნოე ჟორდანია.

ყრილობას დაესწრო მრავალი ხალხი.

ყრილობამ დიდი აღტაცება გამოიწვია დამსწრეთა შორის.

ილაპარაკა: აკაკი ჩხენკელმა, ნოე ჟორდანიამ და ნიკიტა თალაკვაძემ.

ილაპარაკეს უცხოთა წარმომადგენლებმა.

კრებას დაესწრო კათალიკოსი და ამხანაგი ეშმაკი.

20 ივლისისთვე.

ყრილობა გაიხსნა შუადღის 2 საათზე.

ნოე ჟორდანიამ წაიკითხა თავისი მოხსენება.

ფილიპე მახარაძემ ილაპარაკა...

ილაპარაკეს პარტიათა წარმომადგენლებმა.

კრებას კათალიკოსი არ დასწრებია. ეშმაკი დაესწრო.

21 ივლისისთვე.

ყრილობა გახსნა ნოე ჟორდანიამ.

კ. აფხაზმა წაიკითხა მოხსენება ჩვენი მამულების შესახებ.

ნოე ჟორდანიამ გამოაცხადა, რომ ის ახლო მომავალში გააუქმებს ყოველგვარ წოდებას ჩვენში.

თავად აზნაურობა კრებაზე თავადათ მოვიდა, კრებიდან უთავადო დაბრუნდა.

ყრილობას დაესწრო ამხ. ეშმაკი. კათალიკოსი ყრილობას არ დასწრებია.

ნესტორ ცერცვაძემ ამხ. ეშმაკს უკმაყოფილება განუცხადა, რომ მას ლაპარაკის ნება არ მისცეს.

დავით ხარტიშვილს არავითარი უკმაყოფილება არ განუცხადებია.

დაიწყო სექციებში მუშაობა*).

ისტორიკოსი.

ეშმაკის დეკრეტები

როგორც მოსალოდნელი იყო, ეშმაკის დეკრეტებმა სახელი მოუხვეჭეს მის დიდებულ ავტორს და სახელის მოხვეჭასთან ერთად ერთი ასად გამრავლდა ეშმაკის მიმდევართა რიცხვი. ბოლშევიკების ზრდას უკვე საზღვარი დაედო და არა თუ ზრდას დაედო საზღვარი, პირიქით მათ დნობას დასაწყისი გაეხსნა. ხუთი დეკრეტი, მოთავსებული „ეშმაკის მათრახის“ მე-47 ნომერში, ეს ხუთი მარგალიტია დეკრეტმდებლობისა; ხუთი უდიდესი ალეტია სამართლიანობისა და უკიდურესი კაცთმოყვარეობისა. ჯერ კაცობრიობას არ ახსოვს მათი მაგვარი რამ და არც შეიძლება ახსოვდეს, ვინაიდან ამის მაგვარი ქვეყანაზე არაფერი არ მომხდარა.

ჯოჯოხეთის დაუღალავ დიქტატორს, რასაკვირველია, იმ ხუთი დეკრეტით არ შეეძლო თავისი მოღვაწეობის შეჩერება. არ შეეძლო პირველ ყოვლისა იმისთვის, რომ დღეს შინაგანი ბრძოლა უმთავრესათ დეკრეტების გარშემო სწარმოებს და ხალხში უდიდესი მოთხოვნილებაცა აქვს დეკრეტთა წარმოებას. საქმის გასაფართოებლათ ამხ. ეშმაკმა განიზრახა რეკვიზიცია მოუხდინოს ბურჟუაზიულ

---

*) „ეშმაკის მათრახის“ რედაქცია ამით აცხადებს, რომ ვინაიდან ამ ნომრისთვის არ მოესწრო მხატვრული დასურათება პირველი ეროვნული ყრილობისა, ამიტომ შემდეგ ნომერს ეს ნაკლი აღარ ექნება.

აგრეთვე მომავალ ნომერში იქნება ვრცელი აღწერილობა ზეიმისა და მუნით გამოტანილი შთაბეჭდილებანი. ვსთხოვთ მკითხველებს წესიერება დაიცვათ და ნუ აღელდებით შემდეგ ნომრებზე. მომენტი გვავალებს მეტ სიფრთხილეს და ზომიერებას.

ი—ხი.

გამოცემათა სტამბებს, იშოვოს ძლიერი შტატი ასოთ-ამწყობთა (კარტის მოთამაშეები არ უნდა) და მათის საშუალებით გააასკეცოს დეკრეტთა ფაბრიკაცია.

იმედია, ეს კეთილი განზრახვა განზრახვად არ დარჩება და მალე იხილავს კაცობრიობა ამ მხრივ ჯერ უნახავ სასწაულებს. ამ უკანასკნელ კვირეში ამხ. ეშმაკმა გამოსცა შემდეგი დეკრეტები:

დეკრეტი № 6.

დიქტატორი ჯოჯოხეთისა ეშმაკი საბოდიოთ და სიოვულთოდ ვსწყვეტ უდიდეს საკითხს ისტორიისას, საკითხს ერთგნულს. ჩვენა ებრძანებთ: მიეცეს ყოველ ერს დედა-მიწის ყოველ კუნჭულში და კარეშე მისსა სრული ივითგამორკვეგის უფლება. ამს შეუძლია სრული ჩამოთორება ბატონი სახელმწიფოსაგან. კეთილდღეობის და ხალხთა შორის სოდიდარობის გასაძლრმავებლათ ჩვენ ვადრმავებთ შემეტნებას შესახებ ავტონომიისა. მიეცეს ცალკე არსებობის უფლება არა თუ ცალკე ერებს, არამედ ცალკე ტომებს, ჯგუფებს, გვარებს, ოჯახებს და რაც უფალზე უფრო საჭირო ტოლ-ქმრებსა.

ეშმაკი.

აი მოქალაქენო, ჭეშმარიტი გადაწყვეტა მძიმე ეროვნული საკითხისა. მართლაც, ტენდენცია განცალკევებისა აქ მიყვანილია უკიდურეს ლოდიკურ დასკვნამდე და ვის შეუძლია სთქვას, რომ პირველი მუხლი დეკრეტისა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი უკანასკნელი მუხლი? რასაკვირველია, არავის. ვის არ მოეხსენება, საკმარისია ოჯახში გაჩნდეს ორი რძალი, რომ საკითხი განცალკევებისა დღიურ წესრიგში დაისვას, ხოლო რაიცა შეეხება ტოლ-ქმართა განცალკევებულ ცხოვრების საკითხს, თუ არა ვცდებით, ეს უმთავრესი სამოღვაწეო საქმე იყო საქართველოს ეგზარხოსთა კანცელარიებისა.

ჩვენ ვიცით, დანამდვილებითაც ვიცით, რომ ამ უწარჩინებულეს დეკრეტს მრავალი მოწინააღმდეგე აღმოაჩნდება, სახელდობრ ერების თავისუფლებას არ მოისურვებს ბატონი სახელმწიფო, ტოშებისას ავტონომიური ერი, ჯგუფებისას ტომი, გვარებისას ჯგუფი, ოჯახებისას გვარი, ხოლო ქმრებისას ტოლები, მაგრამ ამით, რასაკვირველია, ღირსება ოტის ოდნავაც არ აკლდება ეშმაკის დიდებულ შემოქმედებას.

მაშ გაუმარჯოს თავისუფალ დედა-მიწაზე- თავისუფალ ევროპას; თავისუფალ ევროპაში, — თავისუფალ რუსეთს; თავისუფალ რუსეთში — თავისუფალ კავკასიას; თავისუფალ კავკასიაში თავისუფალ ამერ კავკასს; თავისუფალ ამერ კავკასიაში თავისუფალ საქართველოს; თავისუფალ საქართველოში თავისუფალ იმერეთს; თავისუფალ იმერეთში თავისუფალ გურიას; თავისუფალ გურიაში თავისუფალ ბასილეთის საზოგადოებას, თავისუფალ ბასილეთის საზოგადოებაში-თავისუფალ ხიდისთავს; თავისუფალ ხიდისთავში-თავისუფალ დიხაშხოს; თავისუფალ დიხაშხოზე თავისუფალ ონისიმე ჯღიბაძის ოჯახს. და თავისუფალ ონისიმე ჯღიბაძის ოჯახში-ტოლ-ქმართა თავისუფლებას.

ველოდეთ, რას მოგვცემს მომავალი. დიად ისტორიულ დროში ვცხოვრობთ და მეტი სიფრთხილე გვმართებს.

დეკრეტი № 7.

ჩვენი, როგორც უზენაესი მეუფის ჯოჯოხეთისა, ნებასურვილია: მიეცეს ყოველ მწერალს ნიჭი კეთილი და შემდგომ ამისა, როგორც ნიჭიერ მწერალს, მიეცეს უფლება უფასოდ საღდღობისა სასადილო „ბოდეში“.

დიქტატორი ეშმაკი.

მოკლეთ და მკაფიოდ არის გამოთქმული ამ მცირე განაწერაში გარდაუვალი მოთხოვნილება ქართველ მწერალთა. მათ აკლიათ ნიჭი; ამას გრძნობს ყველა, ვისაც კი მათთან საქმის დაჭერა უხდება, მაგრამ დღემდე მათთვის ნიჭის მიცემას არავინ ფიქრობდა. ძველი მთაურობა დაინგრა, ახლებიც ჩაინთქნენ ისტორიაში, მაგრამ არავის აზრათ არ მოსვლია ხალხის ამ საჭიროებაზე ზრუნვა.

უყურადღებოთ სტოვებს ამავე საკითხს სასურათო გამგეობა.

რამდენი ხანია უნიკოთ სხვადან ეს პატიეცემულნი, ქვეყანას თავს აბეზრებენ და არ იქნა, მათ გასაჭირს ბოლო არ მოეღო.

უნიკობ ს კიდევ გაუძლებენ ქართველი მწერლები, მაგრამ ამას თანა სდევს ერთი ფრიად ხა-

გრძნობი უბედურება. სასადილო „იმედი", როგორც მოგეხსენებათ დაარსებულია „ნიჭიერ" ახალგაზრდათათვის. უნიჭოებს, მართალია, უშვებენ შიგ, მაგრამ ფულს ახდევინებენ. ამგვარათ მწერლისთვის სრულიადაც არ არის ხელსაყრელი უნიჭობა და აი, ამ გასაჭირს სდებს მალამოს ამხ. ეშმაკის დეკრეტი № 6.

ვისწრაფვი დავსძინო, რომ შეიძლება აქაც რაიმე დაბრკოლება ეწიოს ეშმაკის კეთილ განზრახვას და ნიჭები არავინ დაარიგოს; დიახ, შეიძლება ჩვენი მწერალნი კვლავ უნიჭოთ დარჩენ, მაგრამ მამლის თქმისა არ იყოს: „მე კი მიყივლია და გათენდება თუ არა, ეს ჩემი საქმე არ არისო", ამხანაგ ეშმაკს რასაკვირველია ბრალი არ დაედება.

ისტორიკოსი.

პატარა ფელეტონი

ერთფეროვანი რედაქცია

ის, რისთვისაც იბრძვის მთელი რუსეთის დემოკრატია, უმტკივნეულოთ განახორციელა ჩვენმა ჟურნალმა, „ეშმაკის მათრახმა".

ერთგვარი, ერთფეროვანი ძლიერი მთავრობა დღეს მთელი რევოლიუციონური ფრონტის მოთხოვნილებათ გადაიქცა. მთელი რუსეთი მასზე ოცნებობს!

„ეშმაკის მათრახის" რედაქციას მართალია თავის თავზე ყვირილი არ უყვარს, მაგრამ როცა მისაბაძ მაგალითს, მის მიერ ჩადენილს, გარეშენი ვერა ხედავენ, იძულებული ვხდებით ხმა ამოვიღოთ.

ჩუმი განხეთქილება ცენზიანსა და უცენზო თანამშრომელთა შორის „ეშმაკის მათრახის" რედაქციაში დიდი ხანია სწარმოებდა. პირველ ხანებში ჩვენ ამას დიდ ყურადღებას არ ვაქცევდით, ვინაიდან გვეგონა, საერთო აღტაცება რუსეთის რევოლიუციით გამოწვეული და თვალსაჩინო საჭიროება ერთი ფრონტის შედგენისა ყველასათვის საყურველ საქმეს წარმოადგენდა. მაგრამ ეს ასე არ გამოდგა. უკიდურესი მარცხენა ფრთა რედაქციის მუშაკთა ამხ. X. ხელმძღვანელობით აშკარათ გადაიხარა სასუფევლისაკენ და დღიურ წეს-რიგში სამოთხის დაბრუნების საკითხი წამოაყენა.

ნაციონალური გრძნობა ჩვენშიაც ერთობ ღრმათ არის ფესვ-გადგმული და ისტორიული ტერიტორიის აღდგენის საკითხსაც ძლიერათ გრძნობს თითეული ჩვენთაგანი, მაგრამ ჯოჯოხეთის უმრავლესობა მაინც ვერ გაჰყვა აღნიშნულ ჯგუფს, ვინაიდან ის კარგათ ჰგრძნობს, რომ ამისათვის ობექტიური პირობები მზათ არ არის. ამასთან ერთად უმრავლესობამ იცის აგრეთვე ისიც, რომ არ არის მეტი უბედურება ჯოჯოხეთისათვის, როგორც სამოთხის დაპყრობა იმ დროს, როცა ობექტიური პირობები ამას ხელს არ უწყობენ.

აი, ამ ნიადაგზე აღმოცენდა პირველი განხეთქილება და ბლანკისტ-თანამშრომელნი რედაქციიდან გაძევებულ იქმნენ.

ეს გარემოება გაითვალისწინეს მემარჯვენე ეშმაკებმა და თავისი სამოქმედო პროგრამა ერთობ გააბურჟუაზიულეს. იმათი აზრით ჩვენი არსებობა არა საჭიროთ იქნა აღიარებული და მოგვიწოდებდენ წვრილ ბურჟუაზიაში გათქვეფისაკენ.

ცენტრი ჯოჯოხეთისა, ამხ. ეშმაკის ხელმძღვანელობით წინააღმდეგი იყო, როგორც სამოთხის დაპყრობისა, აგრეთვე გათქვეფისაც. ეს უკანასკნელი მას ყოველ შემთხვევაში მიუღებელ რამეთ მიაჩნია.

ამ ნიადაგზე კი ჩამოეცალა ჯოჯოხეთს უფრო ზომიერი ელემენტი ამხ. ხ-ს წინამძღოლობით. იმათ უარყვეს ეშმაკობა, როგორც თანამედროვე ტრაღიკული მომენტისთვის შეუფერებელი ხელობა და „ადამიანებში" გადაირიცხენ.

ჩვენ ვიცით რამდენათ სასარგებლოა სიმრავლე ამა-თუ იმ კავშირის წევრთა, მაგრამ მოგეხსენებათ ისიც, რომ არა ერთისა სიმართლითა განიზომება ძლიერება ამა-თუ იმ კავშირისა. უმთავრესი საქმე შეგნება და ორგანიზაციაა. ამ მხრივ ცენტრი „ეშმაკის მათრახისა" განსაცვიფრებელ კავშირს წარმოადგენს.

— ეშმაკი, მორიელი, კოლო და ისტორიკოსი!

აი ოთხება, ერთარსება და განუყოფელი. თუნდაც მცირე სხვადასხვაობა აზრისა, მისწრაფებისა, სურვილისა, აქ შეუძლებელ რასმე წარმოადგენს. თითეულ მათგანს, თითქო ესმის მეორის ზრახვა,

მესამის სურვილი და გულის ნადები. თუ ოდესმე რაიმე უთანხმოება, წინააღმდეგ მოლოდინისა, მაინც იჩენს თავს, საკმარისია აზრთა ურთიერთ შორის გაზიარება, რომ მყის აღსდგეს ერთი მტკიცე აზროვნება და გაიკაფოს ერთი გზა.

მას შემდეგ, რაც „ეშმაკის მათრახის“ რედაქციაში ეს ერთფეროვანი მთავრობა დამყარდა, ჯერ არ ყოფილა შემთხვევა ამხ. ეშმაკის მოსაზრება დანარჩენ სამ წევრს უარ-ეყოს და აგრეთვე მორიელის გეგმა ეშმაკს ან კოლოს დაეწუნებიოს. იგივე ითქმის თვით კოლოსა და ისტორიკოსის შესახებაც. ყოველი მათი სიტყვა მუდამ ეთანხმება ეშმაკისა და მორიელის შეხედულებას.

აი რით დამყარდა მშვიდობიანობა ჩვენს რედაქციაში.

ისტორიკოსი.

უმანკოება

თქვენ ალბათ უკვე იცინით. მოითმინეთ, ჯერ გაიგეთ რაშია საქმე. ნუ თუ ასე სასაცილოა უმანკოებაზე ლაპარაკი?

— უმანკოებაზე მხოლოდ საბავშვო ჟურნალში შეიძლება წერაო, — იტყვის ურწმუნო მკითხველი.

არა, ჩემო კარგო! უმანკოები მოზრდილთა შორისაც არიან და არა თუ მოზრდილთა შორის, წარმოიდგინეთ ნასწავლთა შორისაც.

არა გჯერათ?

მაშ, ცხადია, თქვენ არ წაგიკითხავთ თფილისელ ადვოკატთა დადგენილება. საზოგადოთ ვექილებს თავისი ტრადიცია აქვთ. დამერწმუნებით, მათზე უმანკო ხალხი ძნელათ მოიძევა დუნიაზე.

ამ ბოლო დროს მათ უმანკოებას ჩირქი მოეცხო. მოგეხსენებათ ზოგიერთმა ვექილმა მილიციაში სამსახური იკისრა.

— მილიციაში?

— ჰოდე!

— აი, აი, აი! ვექილი და მილიციაში!

— და აი, სწორეთ ამან ააღელვა მთელი წოდება. მათ დაადგინეს, რომ ვექილისათვის შეუფერებელია მილიციაში სამსახური, რომ ეს მათ უმანკო სახელს ჩირქსა სცხებს.

— ღმერთო ჩემო, ასეთი სპეტაკი სახელის შეურაცხყოფა! სად გაგონილა ამგვარი უდიერი მოპყრობა?

აი მაგალითი:

თედორე ცხვირგიდელაძემ გუშინ წინ ხარები გაჰყიდა და ასი თუმანი ფული აიღო სახლში მიმავალს დახვდენ მძარცველები და ფული მოსთხოვეს. თედორე უარზეა. მძარცველები ძალას ხმარობენ. მოჰკლეს თედორე და ფულები გაიტაცეს. მკვლელებს მილიცია დაედევნა. გაჩაღდა სროლა. ერთი მილიციონერი მოიკლა, მაგრამ დანარჩენებმა თედორეს მკვლელი შეიპყრეს.

ამით გათავდა დრამა.

დაინიშნა სუდი. თედორეს მკვლელს ასი თუმანი ფული აქვს, თედორეს ცოლს ათი მანეთიც არ გააჩნია. მიდის თედორეს მკვლელი კარგ*) ვექილთან, აძლევს 50 თუმანს და ჰქირაობს. თედორეს ცოლს ფული არა აქვს და უვექილოთ რჩება. განსამართლების დღეს კარგი ვექილი მეევრმეტ-ყველების კოკონს ანთებს მსაჯულთა წინაშე და ამტკიცებს, რომ თედორე კი არ მოუკლავთ, არამედ მას უნდოდა სხვისი მოკვლა და თავი მოიკლა. კარგი ვექილი ამას ჩინებულათ დაამტკიცებს.

ამით თავდება მელოდრამა.

მსაჯულებს განაჩენი გამოაქვთ. მკვლელს ანთავისუფლებენ, ხოლო თედორეს მეუღლეს სჯიან, ვინაიდან მისმა ქმარმა თავი მოაკვლია ქურდს. თედორეს ხარის ფასი ორათ გაიყო: ნახევარი დარჩა მძარცველს, ნახევარი ვექილს.

ამით გათავდა კომედია.

საწყალი მილიციონერი, რომელმაც თავი შეაკლა ყაჩაღს, სრულიად გარიყული რჩება და ძველი დრო რომ ყოფილიყო მხოლოდ ალ. ივ. ხატისოვის „რეჩის“ ღირსი გახდებოდა.

სურათი აშკარაა. ვინ არ იცის, რომ ვექილთა წოდება ეს უმანკოთა კრებულისაგან შესდგება და განა შეიძლება შეურაცხყოფათ არ ჩაეთვალოს მათ მილიციაში სამსახური?

---

*) კარგი ვექილი ქვეა იმის, რომელიც მტკვანს გასმართლებს.

მე დარწმუნებული ვარ, როცა ჩემს წერილს ასეთი სათაური გავუკეთე, თქვენ მაშინვე მიხვდით, თუ რომელი დარგის უმანკოებაზე ველაპარაკები და ამიტომაც აგიტყდათ სიცილი.

— იცინეთ, იცინეთ მოქალაქენო, ვინაიდან ჭეშმარიტათ საცინელ არს, როცა ადვოკატები თავისი უმანკოების შეურაცხმყოფელათ სთვლიან მილიციაში სამსახურს. იცინეთ, იცინეთ და კვალად იცინეთ!

კოლო.

ზავის საკითხი

დღევანდელ გაზეთებში გამოქვეყნებულია ის ნაბიჯი, რომელიც გადააბიჯა კავკასიის კომისარიატმა დეკლარაციის სახით. ამ ნაბიჯში უკვე ჩამოთვლილია ყველა ის რეფორმატული ნაბიჯები, რომელიც მტკიცე ნაბიჯით უნდა გაატაროს ცხოვრებაში ახალმა მთავრობამ თავისი პირველი გაბედული ნაბიჯის მიხედვით.

ჩვენ მივაქცევთ მკითხველის მთავარ ყურადღებას იმ ნაბიჯისაკენ, რომელიც შეეხება ნაბიჯს ზავის საკითხისაკენ გადაბიჯებულს. „კომისარიატი თავის პირველ ნაბიჯში მტკიცეთ ამბობს, რომ ის გადასდგამს ფრიად ენერგიულ ნაბიჯებს ზავის ჩამოგდებისთვის, შეუფარდებს რა თავისს ნაბიჯებს ამ მხრივ დასავლეთის ფრონტზე გადადგმულ ნაბიჯებს“.

აქ, ჩვენდა სასიხარულოთ აღარ იმეორებენ კოალიციონურ მთავრობათა მიერ გადადგმულ ნაბიჯებს ომის შესახებ, რომ რუსეთის რევოლიუციონურმა მთავრობამ თავისი ნაბიჯები ომისა და ზავის საკითში შეუფარდოს მოკავშირეთა ნაბიჯებსო. აქ ჩვენ ვხედავთ სრულიად ახალ ნაბიჯს, რომლითაც კავკასიის მთავრობა თავისს ნაბიჯებს უფარდებს, არა მოკავშირე მთავრობათა ნაბიჯებს, არამედ დასავლეთ ფრონტზე გადადგმულ ნაბიჯებს.

ეს ჩინებული ნაბიჯი კავკასიის ახალი მთავრობისა მეტად საყურადღებო ნაბიჯია და ჭეშმარიტათ მოითხოვს ფრიად გაბედულ ნაბიჯებს. ჩვენ გვაქვს ეჭვლება გადავსდგათ ასეთი ნაბიჯი და ვიფიქროთ, რომ კავკასიის მთავრობა არ დაიხევს გადადგმულ ნაბიჯიდან და კვლავ გადასდგამს უფრო მეტათ გაბედულ ნაბიჯებს. იმედი გვაქვს ავრეთვე, რომ ასეთ გაბედულ ნაბიჯებს ხმარს დაუჭერს ამიერ კავკასიის დემოკრატიაც, როგორც ნაბიჯებს მისი ინტერესების შესაფერს. თავისთავად ცხადია, რომ ამ ნაბიჯებში ოდნავაც არა სჩანს აჩრდილი რაიმე სეპარატიული ნაბიჯისა, ვინაიდან ამიერ-კავკასიის დროებითი მთავრობის მიერ უკვე განცხადებულია, რომ ის თავის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს სავსებით შეუფარდებს დასავლეთ ფრონტზე გადადგმულ ნაბიჯებს და მაშასადამე ყოველივე სეპარატიულ ეჭვებისაგან თავისს ნაბიჯებს უზრუნველ ყოფს.

მაშ შეუფარდოთ ჩვენი ნაბიჯები დასავლეთის ფრონტის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს და გადავსდგათ უფრო გაბედული ნაბიჯები. ნუ შეგვაშინებს ის გარემოება, თუ ჩვენს ნაბიჯებში ბნელი ძალები დაინახვენ სეპარატიულ ნაბიჯებს, ვინაიდან ბოლოს და ბოლოს ყველა ყველა მიხვდება, რომ მხოლოდ ასეთ ნაბიჯების გადაბიჯებას შეეძლო მტკიცე ნაბიჯით წავეყვანეთ ზავისაკენ.

მაშ გაუმარჯოს ნაბიჯებს!

ბ. თევზაია*).

*) აღსანიშნავია, რომ ერთი ასეთი წერილი, რასაკვირველია, ნაკლებ მდიდარი მტკიცე და გაბედული ნაბიჯებით, ამავ ავტორის ხელმოწერილი დაიბეჭდა გაზეთ „ერთობის“ მე 200 ნომერში. ჩვენს რედაქციას ვერ გამოურკვევია, თუ როგორ მოხდა ეს ამბავი. გეფიქრობთ, რომ ამაში დიდი მონაწილეობა უნდა ედოს ჩვენს ფოსტა-ტელეგრაფის (ტელეფონს ადარ ვეხები) მოუწესრიგებლობას ჩვენ, როგორც მოხმრეს კომისარიატის მიერ გადადგმულ ნაბიჯებისას, არ შეგვეძლო არ დაგვებეჭდა ეს საყურადღებო წერილი ამხ. ბ. თევზაისა, შეუმოკლებლათ.

რედაქცია.

შეგვიანებით

კარგა ხანია, ეშმაკო, დავმუწე ბაგე-ბირია,
რადგანაც ესლა, ხომ იცი, სუფევლადგერი ძვირია;
თუ რომ დავიწყე მგზავრობა, ფეხსაცმელს ცვდება ძირია,
არა და, ოთახში ჯდომით მუხა „სკუბრობის“, მწირეა,
თეთლისს დავბრუნდი აგერა, ეს რამდენიმე კვირეა,
იმერეთს ვიმოგზაურე—ვნახე მრავალი ჭირია;
იქეთ სოფლათ, თუ ქალაქში დიდია კასაწირია,
მაგრამ ლოთობა და კარტი ყოველ ნაბიჯზე ხშირია...
გაიგდი ბაღში ქუთაისს, იხილავ ჯარისკაცებსა,
დვინისგან გამობეჟუებულთ, ნატოკსა, ნაბარბაცებსა,
ზოგთაც ხის-ძირში მწოლარეთ ბანქოით კანატტებსა,—
ერთი არიგებს ქალდდებს, მეორე ხელში სტატებსა!
ნახავ ეტლებში მჯდომარეთ—აწრიალებენ არდნებსა,
არავინ იმათ ხმას არ სტემს, ვერავინ ვერას აენებსა.
ესლა დავეხსნათ ქუთაისს, თვალისზე ვსწერეთ სჯობია,
აქაც ბევრი გვაქვს სათქმელი, მეითხველთა მისაწდომია;
ბეჭვდითი სიტყვა სარკეა, ცხოვრების სწორ-სახლომია,
ვინც მასში არ ჩაიხედავს, არ არის დასანდობია!..
ჰო, იმას ვწერდი: აქაც-კი სუფევლადგერი ძვირია,
როდემდის უნდა ვიტანოთ ესედანი კასაწირია?—
არ არის ბური, შაქარი, რაც არის, ისიც მტირეა,
მშიერი დამაქვს მუტელი, აგერ ეს ერთი კვირეა!..
როგორ, რა ნდომით შევკრიბავ ყურნალისათვის მასალებს,
როცა სიმშილით სულს ვდაფავ, მუხლები სუსტობს, კანკალებს
თავი თავისთვის ქანაობს, გული ძალზე სტემს, ფართხალებს
და სამ „ჩეთვერი“ ბურისთვის კუჭი კარს დგომას მაძალებს?
მოდი და ასეთ ხანაში ეური ათხოვე სიმეებსა,
შიმშილი ოდეს გაკრეფლებს, ხან კიდეც შეგატივებსა;
როცა მოგიფლენს ფიქრები კითხვებსა შეტათ მძიმესა,
რაცა გაქვს დარდი, ბოლშები, ყველა წინ დაიწვიმებსა!..
ასეთ ტანჯვაში ვის ძალუძს შეთხზას, შეხანდოს ლექსები?
სანამ არსებობს ცხოვრების ამგვარი ცუდი წესები,
ნუ ელი ტყვილს, ეშმაკო, თანამშრომელნი, მწერლები,
ვერ მოგაწვდიან მასალებს, თუნდ იქნე დანაკვნესები!..
არა თუ ბერი, არა აქვთ მათ შესაძლისი თართალი,
ვეიცავ ჩემს ალალხს, ძმობილო და მენდე გეოხრა მართალი:
თუ კიდევ ოში გაგძელდა, ჩვენ რაც დონე გვაქვს და ძალი,
ყველაფერს სისხლსა შევწირავთ დავშთებით დიდ-განწვალი.
ხორცს არ იკითხავ? მოლათ გაწყდა, თუ არის, ისიც შავია,
დილით რომ გავალ ბაზარში, სურათი გულსაკლავია...
ოხ, ნეტა, რომ შეიძრსება რალაც ოხერი ზავია,
თუ ასე დიდხანს გასტანა—მიჯობს მოვიკლა თავია!..
ან თუ მიეწვდები ოდესმე დამფუძნებელსა კრებასა?—
აგერ, შვილი თუ რვა თვეა მის „ბლანს“ მინისტრი გეგმავსა,
მაინც არა აქვს საშველი—კერენსკი თვისკენ ქექავსა,
ბალშევიკებიც ლენინით შეკრების საქმეს წყწავსა...
ჰოდა, თუ ასე გაგძელდა მე ალარ ძალმიძს მოთმენა,
ამას მიტომ გწერ, ეშმაკო, რომ მუფიქრდე მეის შენა;
ამიხსნა როული კითხვები, ცხოვრებამ რაც დაგეეენა:
თუ როგორ შეგსძლო სიცოცხლე, სულის-თქმა და თავის-
რჩენა?!.

პოლიტიკოსი არა ვარ, არც თეოლოგოს-ბრძენია, *)
მაგრამ ეს ერთი კი მაინც ალვილი მესახვდენია;
რომ აიწყა საკვებით თავისუფლება ჩვენია,
და ვაჭ თუ მისი ბოლო ჩანს, მას დათვლილი აქვს
დღენია?!.

———

ამ ეჭვს გამოვთქვამ მე შენთან წრფელათ და მოწიწებით,
ამიტომ გამოიძულდა, წერილს გწერ შეგვიანებით!..

ალბუერიონი.

---

*) ამას ისევაც მივხვდებით, თავი რათ შეგიყენია!
ეშმაკი

ზავი



მოქალაქე. ეი, მეგობარო, არ მოგწყინდა მაგ ღრუბლებში ჯდომა? ჩამოდი, ჩამოდი, აი კამფეტებს გაჭმევ...

მოგზაურობა



შოფერი. აი მატუშკა, გაიხედე რა მშვენიერი ბაღია! მგელი და ცხვარი ერთად სძოვს. იქით იცქირე, ერთი მუხლი კიდევა და უკვე იქ ვიქნებით.

კრიჭ-კრიჭ



ტოლ-ქმარს ბასსი ჭქონდა. ტოლი ამბობდა: თშის მოშორებას კრეჭა ჭქვია. ქმარი უშტკიცებდა, პარსვაო. მუსაიფი კამთად გადაიქცა. კამთი ჩხუბით. ერთმანეთი მაინც ვერ დამარწმუნეს. ქმარმა ტოლს ხელი სტაცა და მორეგში ჩაგდო. მაგრამ სანამ სრულიად ჩაიმალებოდა, ქმარს ორის თითით, მსგავსად მაკრატელისა, ანიშნებდა: კრიჭ-კრიჭო.

ს სწორათო დეპეშები

(სატანას სააგენტო)

ქუთაისი. ს.-ფ. „წითელ გვარდიას“ ქართულმა პოლკმა ალყა შემოარტყა. ცოტა ხნის მოლაპარაკების შემდეგ „წითელი გვარდიელები“ დანებდენ. ებრაელების სიხარულს საზღვარი არ აქვს. ყველანი გაიძახიან: „შენ გაუძლებ ს.-დ. პოლკსაო“ (ქართულ პოლკს ს.-დ. პოლკს ეძახიან, რადგან იქ თითქმის ყველა ს.-დ. თანამოაზრეებია). „წითელ გვარდიელების“ გენერალი, რომელიც ამას წინათ შემთხვევით დაიჭრა და ეხლა თავს უკეთ გრძნობდა, ამ ამბის გამო ისევ ცუდათ შეუქნილა.

ბანკებში „წითელ გვარდიელების“ ვექსილები დღეიდან აღარ დახურდავდება.

სანოვაგის შემოტანამ სოფლიდან იმატა, რადგან **საწევრო ფულის** გადახდა სავალდებულო არ არის.

—

ს. ბუბი (არჩევნები).

— შენ ბოლშევიკი ხარ?— შეეკითხა სერაფიონი ერთ გლეხს.

— მე პირველი ნუმერი მინდა!—უპასუხა გლეხმა.

— რისი პირველი, რა პირველი,—ჩაერია იქვე მდგომი ბარნაბა,—მაგას რა ესმის, გაუგონია რაღაცა, მიეცი მეხუთე ნუმერი. შენ დაგიდგა თვალები, განა ერთი ბოლი ღვინო სჯობია ხუთს?

— ღვინო რა შუაშია, მე ნუმერი მინდა, პირველი ნუმერი, ცოციალ-დემოკრატიის ნუმერი!—უპასუხა გლეხმა.

— ჰა პირველი ნუმერი,—შეაძლია მეხუთე ნუმერი სერაფიონმა გლეხს და თან ბარნაბს გადახედავს.

— პირველი ნუმერი, როგორც მითხრეს,—სარივით უნდა იყოს გაშტიკინებული და ამაზე კი ტყის ძღაბივითაა მოკუნძული, ნამდვილ მატყუარებს,—გაიუჭრა გლეხმა და უბიდან ამოიღო სხვა ბონვერტი, რომელიც წინა დღით მიუტანეს და მის თვალწინ შიგ პირველი ნუმერი ჩადეს.

— ჰე ბიჭო ბარნაბა, ყური შაგას—მოიშველია სერაფიონმა ბარნაბა, რომელიც რევოლვერით ხელში მივარდება გლეხს და ხელიდან გამოსტაცებს პირველ ნუმერს და მეხუთეს ჩაუდებს,—მიდი ჩააგდე ასე, თორემ შენსას ქვა ქვაზე არ დარჩებაო.

ამნაირათ მიიღო მეხუთე ნუმერმა ფარული კენჭი.

—

ს. რიონი. გვგონებათ ს. რიონი სხვა პლანეტის ნაწილიაო. სანოვაგე უხვად იშოვება, ომამდე არსებულ ფასებში. მაგალითისთვის მოვიყვან რამდენიმე მაგალითს: კ ეცი ქადი 7 მ; ბოლოკი კონა 9 მან. 20 კ.; ბუფეტში ჩაი, ჭიქა 1 მან. 70 კ.; ერთი უნცი პური ერთი სკრუპულა ყველით 20 მ. 90 კ. %% მოსამსახურეს,—ხუთდა რაც უნდა გერგებოდეს.

ს. მუხიანა. ტროცკის დეკრეტის განხორციელებას უკვე შეუდგენ. გადააყენეს რკინის გზის სადგურის უფროსი და კასირი. მათ ადგილზე მეისრეები დანიშნეს. მეისრეების ადგილზე კი პირველები. მეისრეების სიხარულს საზღვარი არ უჩანს. ამბობენ: მატარებლებს აწი ჩვენი ურმებივით მოვიხმართო.

სატანა.

გუტუნ ს სააგენტო

ფოთში არჩევნები „კაპარჭინასავით“ ზლაზნით მიმდინარეობდა. კერძოთ ფედერალისტები დიდ ფაცა-ფუცში იყვნენ. პირველ დღეს მობილიზაცია გამოაცხადეს თავის „ჯარში“ და მატარებლის დროს მთელი მათი „არმიით“ (90% ქალები იყვნენ) ჩამოვიდენ სადგურზე. ხმა დადიოდა: ქუთაისიდან რაზმებს და მუზიკას ელიანო. ფედერალისტების რაზმელები აღარსა გამოჩნდა, გარდა აბაშიდან ჩამოსულ ნიკო ქამუშაძისა. ქამუშაძე ძლიერ ნასიამოვნები იყო, რადგან ეს „შეხვედრა“ საკუთარ მისად მიიჩნია. ფედერალისტები ცეცხლზე წყალ გადავლებული დაბრუნდნენ ბაზრისაკენ, მარა ბერძნის ქუჩაზე მხლებლები მამა კაცები რესტორანებში წავიდ-წა-

მოვიდენ და ქალაქის თვითმართველობაში მარტო ქალთა „ბათალიონი“ მიჰყვა მეთაურებს.

საარჩევნო მიტინგზე ფედერალისტების „ციცერონმა“ მურუსიძემ კრების დაწყებიდან გათავებამდე „ილაპარაკა“ ს. დ. ლანძღვა-გინება, ხოლო, როცა მსმენელებმა და თავმჯდომარემ მას საგანზე გადასვლის წინადადება მისცეს, მურუსიძეს ისტერიკა აუვარდა. მიმართა რუს ჯარისკაცებს და კინადამ პროვოკაციული წისქვილი დააბრუნა. ვ. თევზაიამ „შესძლო“ მურუსაძის პასუხის გაცემა და დემაგოგიით აღელვებული ჯარის კაცები დაამშვიდა. მურუსიძე კიდევ არ დაკმაყოფილდა და მიტინგის დაშლის შემდეგ უხსნიდა ჯარის-კაცებს ს. დ-ბი ხალხს მიწას არ აძლევენო. ჩვენ არ ვიცით, მაყურებელმა როგორ დაიჯერა მურუსიძის ლაპარაკი, ის კი დანამდვილებით ვიცით, რომ თვით მურუსიძეს თითონ არ სჯეროდა თავის ნალაპარაკი და ამიტო ჩვენ საგენტოს არ დაუკარგავს იმედი მურუსიძის მორჩენისა ისტერიკისაგან.

ბუტუნა.

რას ამბობენ?

ქ. დუშეთი.

ამბობენ: დუშეთში
ქალთა წრე არისო,
(რომელშიც შედიან
ქალნი ერთ მხარისო).
მიზნათ აქვთ: რაც მკვდრები
დუშეთში სუფევსო,
სულყველას სიცოცხლე
და საქმე მისცესო.
ამისთვის არ ზოგავს
ღონეს და ძალასო,
ჰკუას და გონებას,
თავისა ქალასო.
კრებაზე წრე იწვევს
ლამაზსა ვაჟებსო,
(ალბათ თუ სხვა გეგმა
წინ დაისახესო).
ისეთი კამთი
ღვივდება ტკბილიო,
რომ ყმაწვილს და ქალწულს
მოუვა ძილიო.
რა უშავს აწ დუშეთს —
ღირსია ქებისო,
ქალთა წრის წყალობით
ცრემლი სდის შვებისო.

ჭანგელი ბზიკი.

«პოლიტიკურ-მეცნიერული» წერილები

ვგრძნობდი, „პოლიტიკოსი“ ვიყავი და „მეცნიერიც“. ვსწერდი, რომ მაღლით მომადლებული ნიჭით ქვეყანას ვეფაფერს ვარგებდი, მარა მოგეხსენებათ ძველი მთავრობის ხელში ყველაფერს **მოწმობა** და **ნებართვა** უნდოდა. აქაო და სკოლაში არ ყოფილ ხარ, უნივერსტანტი არახარ, მეცნიერიც ვერ იქნებიო. განათლებაა არ მიგიღია, „ნეგრამოტნი“ ხარ და პოლიტიკოსი სიიდან გამოხვალო. მარა დიდმა რევოლიუციამ სხვა უსამართლობათა შორის **გადალახა** და **გააუქმა** სწავლა-განათლებისა და მეცნიერების „პატენტები“. დღეს ყველას შეუძლია, მიუხედავათ სწავლ-განათლებისა და ცოდნისა, ლექტორიც იყვეს, საზოგადო მოღვაწეც, პოლიტიკოსიც, მეცნიერიც და ფილოსოფოსიც. იქნება ზოგ ძველი წყობილების მოტრფიალეთ ეს ახალი თავისუფლება არც სჯერათ, მაშინ მე შიშველი ფაქტებით ამ რეჟიმის მონებსაც დავუმტკიცებ, რომ დღეს ყველას და ყოველგან ყველაფერის უფლება და შეძლება აქვსთ. მაგალითები?! ინებეთ: **ლ. ზოდელავა** სრულიად უბრალო უსწავლელი და გაუნათლებელი კაცია, მარა საერთაშორისო უფლების დოქტორი (ექიმი) გახდა მხოლოდ თავისი გადაწყვეტილებითა და ენით. მსოფლიო მნიშვნელობის ლექციებს კითხულობს, ნ. დ ბის მონდობილობით ლექტორია, **ლეონიდე მიტროპოლიტს** ერთი ბროშურა არ დაუწერია, არც ერთ პირველ მაისობის დღესასწაულზე არ დაგვხმარებია უბრალო ფურცლების გავრცელებაშიაც-კი, არც ერთ იაჩეიკის წევრადაც არყოფილა, მარა თებერვალში ლენინსაც წააჭარბა. ეგზარხი ჩამოაგდო, კირიონი დააყენა,

მთელი სასულიერო რევოლიუცია მოახდინა. ასე გასინჯეთ ანაფორისა და ხელუხლებ წვერის მაგიერ „ჩაქურაისა“ და „ბულანჟეს“ უფლებაც კი მოიპოვა. მოწაფეებმა შეიფერეს მასწავლებლებზე უფროსობა. ჯარის-კაცმა გენერალს აჯობა სტრატეგიაში. პოგ-ტომშჩიკებმა მარქსი დაჩრდილეს კერძო საკუთრების მავნებლობაში. „ძეგვის პროლეტარიატმა“ მარქსის ბაირაღით იკბინა ინიციატივა კირიონის კურთხევაზე. ნაც. დე-ნა უფასოთ დაურიგეს გლეხებს მამული. პროლეტარიატმა თვითმპყრობელი რუსეთი თავის კურტნით სოციალიზმში 24 საათის განმავლობაში გადაიტანა. ტროცკიმ მოკავშირეებს აუკრძალა ომი. ლენინმა რილენკოს დახმარებით მილიტარიზმი ვააუქმა მსოფლიოში. თედორე კალანდაძემ გაკვეთილები მისცა ნ. ჟორდანიას. „რუს-ინგილომ“ კაკ, წერეთელი აიყვანა მოწაფეთ ლექტორობასა და სიტყვიერების თეორიაში.

მეც ვიწყებ პოლიტიკურ-მეცნიერულ გამოკვლევებს და მოელოდეს ჩემი მკითხველები შემდეგი ნომრისათვის.

ბუტუნა.

სუფსის მსახები.

(ვოდევილი ერთ მოქმედებათ)

მომქმედნი პირნი:

„მიშელ“	35 წ.
კოსტა ფაფაძე	32 წ.
წკვერტაძე	25 წ.
მომდურაძე	45 წ.
ბერთენ	32 წ.
ნიტა	28 წ.
კომუნისტი	30 წ.
გაბი	30 წ.
ნენა (უსიტყოთ)	28 წ.

(სცენა წარმოადგენს პატარა ოთახს, სადაც ერთი მაგიდა დგას და რამოდენიმე სკამი. ერთი ფანჯარა ქუჩას გადაჰყურებს).

კოსტა. (ზის და გაზეთს დასცქერის, დრო გამოშვებით ხელებს გაიქნევს და აღელვებული მაგიდაზე სცემს).

გამოსვლა II.

მიშელ. (შემოდის ჩუმათ და მორიდებით სალამს აძლევს კოსტას).

ამხანაგო, უკაცრავად,
მაგრამ თუ არ გეწყინება,
ლოღიკურათ რომ ვიმსჯელოთ,
არ ჩაითვლის ეს გინებათ!
ველარ გიცნობთ და ამიტომ
ძლიერ მინდა, რომ გიცნობდეთ,
ლოღიკური თვალსაზრისით
ჩვენს შორის რომ ხიდს გავდობდეთ!

კოსტა. (დგება) სიხარულით... არ გეწყინოთ,
თუ ლოღიკით ვერ წაგბაძე,
რალა დიდი გავაგძელო:
კოსტაი ვარ მე ლაყბაძე. (ხელს არომგვს).

მიშელ. ძლიერ კარგი... მე გახლავარ
მიხაილი ჩაჩულია,
სუფსის სკოლის მასწავლებლად
დანიშნული, სარჩულია.
ამხანაგო, მე გავიგე
თქვენ რუსეთში გიცხოვრიათ,
შეჩვეულხართ იმ ქვეყანას
ცოლიც კარგი გითხოვნიათ.
როგორც ვიცი, თქვენ რუსეთში
კარგი ხნითა ბრძანდებოდით
ექვიც არ მაქვს, რომ ამ დროში
ესერათაც გახდებოდით.

კოსტა. (სიხარულით)
მართალს ამბობთ... ეს ასეა,
მე ესერათ რუსეთს გავხდი,
მაგრამ დღემდის თავს ვმალავდი
ამ სუფსაში ისე წავხდი.
ჩემთვისა ვარ... ქე შემეწყო
აქ ეს ხალხი, აქ ეს ფრი.
უკაცრავად, ეს მითხარით,
ხომ არა ხართ თქვენც ესერი?

მიშელ. გახლავართ, და ამ სახელით
ვამაყობ და თავს ვიწონებ,
უწინ გახლდით დემოკრატი,
მაგრამ იმ დროს არც ვიგონებ.
ესდეკებსა ვერ შევეწყვე,
სულ არ მომწონს მათი სახე,
ესფერთ ბანაკს გადავბარგდი,
ცოტა ხნითა ისიც ფანახე.
იქ მინდოდა კინკლაობა
სხვაფერივ ამეშენებინა,
მებრძოლთ რაზმი შემედგინა

ამ ბანაგო, უკაცრავად,
მაგრამ თუ არ გეწყინება,
ლოღიკურათ რომ ვიმსჯელოთ,
ეს ბანაგი ეს ბანაგია!
ველარ გიცნობთ და ამიტომ
ძლიერ მინდა, რომ გიცნობდეთ,
ლოღიკური თვალსაზრისით
ჩვენს შორის რომ ხიდს გავდობდეთ!

კოსტა. (დგება) სიხარულით... არ გეწყინოთ,
თუ ლოღიკით ვერ წაგბაძე,
რალა დიდი გავაგძელო:
კოსტაი ვარ მე ლაყბაძე. (ხელს არომგვს).

მიშელ. ძლიერ კარგი... მე გახლავარ
მიხაილი ჩაჩულია,
სუფსის სკოლის მასწავლებლად
დანიშნული, სარჩულია.
ამ ბანაგო, მე გავიგე
თქვენ რუსეთში გიცხოვრიათ,
შეჩვეულხართ იმ ქვეყანას
ცოლიც კარგი გითხოვნიათ.
როგორც ვიცი, თქვენ რუსეთში
კარგი ხნითა ბრძანდებოდით
ექვიც არ მაქვს, რომ ამ დროში
ესერათაც გახდებოდით.

კოსტა. (სიხარულით)
მართალს ამბობთ... ეს ასეა,
მე ესერათ რუსეთს გავხდი,
მაგრამ დღემდის თავს ვმალავდი
ამ სუფსაში ისე წავხდი.
ჩემთვისა ვარ... ქე შემეწყო
აქ ეს ხალხი, აქ ეს ფრი.
უკაცრავად, ეს მითხარით,
ხომ არა ხართ თქვენც ესერი?

მიშელ. გახლავართ, და ამ სახელით
ვამაყობ და თავს ვიწონებ,
უწინ გახლდით დემოკრატი,
მაგრამ იმ დროს არც ვიგონებ.
ესდეკებსა ვერ შევეწყვე,
სულ არ მომწონს მათი სახე,
ესფერთ ბანაკს გადავბარგდი,
ცოტა ხნითა ისიც ფანახე.
იქ მინდოდა კინკლაობა
სხვაფერივ ამეშენებინა,
მებრძოლთ რაზმი შემედგინა

იმით დამემშვენებინა.
მალე მივხვდი: ჩვენს სურვილებს
ხალხი მტრულად უყურებდა;
რომ ცოდვები მოგვენანა,
აიაზმას გვაპკურებდა.
რაღა მექნა: უკან წასვლა
ღამურას ბედს მარგუნებდა;
გადავედი ესერთ ჯგუფში,
იგი თავს არ მაწუნებდა.

კოსტა. (ღიმილით).
შენ, ჩემო ძმავ, მგონი აქაც
ვერ მოიცდი, გაგვექცევი,
მუდამ კოკა წყალს არ იზიდავს,
გაგვიტყდები, წაგვექცევი.

მიშელ. ეჰ, აბაზე რა გაწუხებთ,
მე ჩემს საქმეს მოვაგვარებ,
გავიკრები და გამოვძვრები
მთელ ძალ-ღონეს მოვახმარებ.
მე მსურს აქა, რომ მოვძებნო
ესერების მიმდევარი.
დამეხმარეთ და ვიფრინოთ
მაღლა ქორი, ძირს მწევარი.
დავეძიროთ, ვისაც ვნახავთ:
გიჟი, კოპლი, კარგი, ავი,
ნუ დაეძებთ, ვინც იქნება;
მოუყაროთ ერთად თავი.
დავაარსოთ ერთი ჯგუფი,
ჩვენ გავუძღვეთ მედგრათ წინა,
გეტყობათ, რომ თქვენს გონებას
მოეწონა, გაეცინა.

კოსტა. კარგი, მაგრამ აქ ვინ არის
ასე უცებ მოგვემხრობა?
გურულებსა ხომ კი იცნობთ:
მოგვაწურებს, მოგვემტრობა.

მიშელ. ნახავთ, როგორ დავტრიალდეთ
სულყოველგან: იქ—თქვენ, აქ—მე
ნურას სჯაბრობთ, მე ცოტათი
მოვაგვარე ჩვენი საქმე.

კოსტა. როგორც გნებავთ, მხოლოდ თქვენგან
ჯერ ნუგეში მაქვს კი მცირე;
ვაჭ თუ ფეხი წავიბორკე:
თავი ხალხში დავიმცირე.

მიშელ. მედგრათ იყავთ, ამ წუთიდან
დავიბაროთ ყველა ისა,
ვისაც ბევრი ცოდვები აქვს,
მომდურავი ამ ხალხისა.
ერთი ქალი ჩვენი არის,
მასწავლებელად აქ მსახურებს,
ეტყობა, რომ ტკვიანია,
ესერებსა ესფერთ ურევს.
დიდხანს ვსდივ: ჩვენს ანკესის
ეშინოდა, ჩემგან რბოდა.
სიყვარულსაც ავუხნიდი,
ცოლის რომ არ მშინებოდა.

კოსტა. (ფანჯარაში იცქირება)
მოდი ერთი აქ მოვიხმო
ნიტო, ალე, კომუნისტი,
ვინც კი არის ჩვენი დროის
დამგმობი და მოწუნისტი.

მიშელ. აბი ჩქარა, რას ფუყურებთ
მოვიმწყდიოთ ესერთ ყუთში,
გაფრინდით და აქ მომგვარეთ
თითო თითო ამ ერთ წუთში,

(კოსტა გაქრა. მიშელ სიხარულით ხტუნაობს, შემოდის მომდურაძე).

გამოსვლა II

მიშელ და მომდურაძე.

მიშელ. გამარჯობათ. უკაცრავათ...
დაგვიანეთ... ეს გვიხარია,
ხალხი რატომ მოგემდურათ?
მოჰყევთ წყნარად, ნუ ჩქარით!

მომდურაძე. რაღას ვამბობ, გეტყობათ, რომ
ჩემზე უკეთ თქვენ ეს იცით,
ავ კაცობას მაბრ ლებენ
პირდაპირ და მრ ეული ფიცით.
იყვირეს და ერთ კრებაზე
დამიკარგეს ხალხში ნდობა.
იგი კარგსა ნულარ ელის
დემოკრატებს ვინც ენდობა.

მიშელ. მივხდი ყველას, აქ რომ არის,
კერძო ჯგუფის ეს ბრალია
თქვენი მაზავნის მფარველობა
ჩვენ პარტიის დ ეს ვალია,
დემოკრატი ასე არის:
არ აურევს ბარდს იაში.
თქვენ, თუ გინდათ გაიმარჯვოთ,
შემოდით ჩვენს პარტიაში,
გაგეგებათ ვინც არაინ
ესერები მთელ რუსეთში;
ყველა იმას მფარველობენ,
ვინც ჩავარდა მუხთალ ბედში.

მომდურაძე. ამ წყალობას თუ კი მიზამთ,
უკეთესი რა იქნება!
ნეტავ იმ დროს მოვესწროდე,
დემოკრატი გაიქნება.

(შემოდის ალე)

გამოსვლა III

იგინივე და ალე.

ალე. მე, ბატონო, გიახელით
თქვენ სიაში ვეწერები,
რომ არ მინდა დემოკრატი,
მიტომ მომწონს ესერები.

მიშელ. ძლიერ კარგი, ძლიერ გმადლობთ,
ფასობს თქვენი წვეულება;
ნეტავ ყველა სუფსიელებს
ასე ჰქონდეს ჩვეულება.

ალე. გავიგე, რომ მიწა თურმე
ხალხს ურიგებთ უფასურათ,
თუ კი რამეს ქე მარგუნებთ,
არ დავრჩებით უმადურათ.
მაგივრათ მე მეავიასთან
არ გიწოდებთ მარტო ძმობილს,
დამფუძნებელ კრებისათვის
გისაკუთრებთ ავტომობილს.

მიშელ. ამ საკითხში ესერებმა
თვითონ ხალხსა რაც სწადია,
ახალი გზა გაიკვლიეს
ყველასათვის ეს ცხადია. (შემოდის ნიტო).

გამოსვლა IV

იგინივე და ნიტო.

მიშელ. მობრძანდით და ჩვენს პარტიას
გაუმარჯოს კრავ-მელებითა!
დემოკრატებს თავს ზარს დავცემთ
ჩვენი უცებ მრავლებითა.

ნიტო. (ფიცხათ). ესდებმა არ მიკადრეს
მომახვიეს ცოდვის ბარგი?!
არ მიმილეს პარტიაში?!
თქვენთან ხომ ვარ უფრო კარგი!

მიშელ. მართალს ამბობთ, ესდეკებთ ჯგუფი
თქვენისთანებს არ ღებულობს;
რა ძალაა თქვენში, იგი
აღარ იკვლევს, არ გებულობს,
(შემოჩანჩურდება მეავია)

გამოსვლა V

იგინივე და მეავია.

მეავია. გიახელით ჩასაწერათ,
კარგია თუ ეს ავია
პარტენ მქვია მე სახელათ,
გვარეულად კი მეავია.
დემოკრატებს ქე შევსძულდი,
სხვა ვინ მოსწონს ან ვაჭარი,
ხორცს თუ ჰყიდის ჟირიანსა,
ფართალს აჭკრას ან ნაჭარი.
დუქანი მაქვს ცარიელი,
მოიხმარეთ თქვენი ნებით,
იქნებ აწი ქე შემაქოთ,
დღემდის, ცხოვრობ კი გინებით.
ძლიერ მომწონს თქვენს დროშაზე
წარწერალი სიტყვებია:
„ბრძოლით ჰპოებ შენს უფლებას“,
ამ გამოთქმით ვიწვებია,
მიყვარს ბრძოლა, ბრძოლით ვცხოვრობ,
მას არა აქვს ბოლო, კიდე,
ჩემს ოჯახში კი ასეა
ლამაზ ქალს, რომ გადვეკიდე.

მიშელ. მასე ვატყობ თქვენს მკლავებსა,
რომ ბრძოლაში ვარჯიშობდა.
მართალს ამბობთ, ძალის მალვას,
ოჯახში, ხომ ხარჯვა სჯობდა.
(შემოდის წკვერტაძე გრეხით)

გამოსვლა VI

იგინივე და წკვერტაძე.

მიშელ. აი ხედავთ ვინ გვესტუმრა?
ახალგაზრდა ჩინებული,
კოხტა ტანის, მოკაზმული,
ულვაშ აწკვირტინებული.

წკვერტაძე. (მიშელს) მიბოძეთ, რომ ჩემი თავი
თქვენ გაგაცნოთ ამ ერთ წუთში:
ვაჭარი მე არ გახლავარ,
ვეღარ ავკრავ ათასს ფუთში;
მაგრამ შრომა სხვაც არ მიყვარს,
მომწონს მხოლოდ ხეტიალი.
ეს სოფელი ვის გაიტანს,
რას დამაყრის ეს ტიალი!
ბანქოთ თავსა ხან შევიქცევ,
სხვა ასეთიც ბევრი ვიცი.
ჩემთვის მაინც სულ ერთია
ცხენი მყავდეს, გინდა კვიცი.
ხარდის ხან რომ ღვინოს დავლევ,
მაშინ ზნეთ მაქვს ომი მეტი,
მაგრამ ამით გადვიმტერე
სოფელ სუფსის კომიტეტი.
გამაძევეს ამ დაბიდან,
ჩამიკავეს ასე ენა;
ეხლა თქვენ თუ დამიფარავთ,
იქნებ ამცდეს გარეთ რბენა.

მიშელ. ჩვენ მოვაწყოთ ჯერ ეს საქმე,
მერე სხვასაც კი გავხდებით.
ერთი კაცი რომ ვერ ვიხსნათ,
ასე მართლა არ წავხდებით.

ზამოსვლა VII

(შემოდის კოსტა, კომუნისტი მიმონოთ ხელზე და ნენა-მასწავლებელი ქალი)

კოსტა. კომუნისტსა, რომ ვუწოდებთ,
ჰა—ეს კაცი მთლათ ჩვენია.

წკვეტაძე (თავისთვის)
ქორით იქერს კომუნიზმსა,
მაგალითად საჩვენია.

მიშელ. (ყველას).
ამხანაგო, მაშ მოთავდა
ახალ წევრთა თქვენთან რება.
რომელნიც ვართ ისიც კმარა,
მე მსურს გავხსნა აქვე კრება.
ყველაზე წინ ავირჩიოთ
ჩვენი კრების თავმჯდომარე

ყველანი: „თქვენ იყავით, ამხანაგო,
კოსტაი გუავთ, მაქ მდგომარე.

მიშელ—(კოსტას)
ხომ კი ხედავთ, ჩუმათ, მშვიდათ
სახელს ჩვენც კი მოვიხვეშავთ,
თუ ცოდვები რამე გვქონდა,
წყნარად ნელად მოვიღეშავთ. (კრებას).
გმადლობთ ყველას იმ ნდობისთვის,
თქვენ რომ გინდათ აქ მარგუნოთ.
(წკვერტაძე ფეხს სცემს იატაკზე)
სიწყნარეს გთხოვთ, რას მივიღებთ,
ფეხები რომ ვაბრაგუნოთ,
დამეხმარეთ და მივმატოთ
ჩვენს ჯგუფს ბლომად ქალ-კაცია,
სახელად კი ჯერ დავითქვათ
ესერთ: „ორგანიზაცია“.
თან ავირჩევთ პრეზიდიუმს,
მხოლოდ გვინდა თავის ხმარა,
ასახელეთ კანდიდატი:
მე მგონია ათი კმარა.

წკვერტაძე. უკაცრავად, მაგრამ თქვენკი
თავი ორათ ჩაითვალეთ.
აქ ცხრანი ვართ სულყველანი...
ხელ მეორეთ დაითვალეთ!

(მიშელ ითვლის თავისთავიდგან და ათავებს თავის თავით, (საერთო სიცილი).

მიშელ. რა გაკინეთ, მართალია
ცხრა ვართ ყველა აქ მჯდომარე,
მაგრამ ჭკუა გვიკარნახებს
ორათ ვთვალოთ თავმჯდმარე.
ასახელეთ, რას უყურებთ,
დრო გვიჯდება ეხლა ძვირათ,
მე ძლიერ მწყენს, რომ გამხადეთ
თავჯდომარე ასე ჩირათ.

(ასახელებენ კანდიდატებს, მიშელ ითვლის)

მიშელ. (ხმები)—ერთი მიშა; ორი—ალე;
სამი, ოთხი, იტა ალე,
მე-ცხრე-ჩვენი რუსკი ჩიჩი,
მეათე კი—

წკვერტაძე. (ოლო ჩიჩი)

მიშელ ამ ხუმრობას აქ ადგილი
არ ქონდა და არც კი ვარგა.
თქვენმა ქცევამ მე იმედი
მომავლისა დამიკარგა.
მაგრამ კარგი, ეხლა პირველს
კანდიდატსა თუ კი ირჩევთ,
ერთად ხელი რომ ასწიოთ
ჩემდა თავად ამას გირჩევთ.

(ყველა სწევს ხელებს ყველა კანდიდატებზე)

მიშელ. (აზარტში მოსული)
მაშ ყველა ვართ. გაუმარჯოს
ჩვენს არჩევას მეგობრულად.
ეხლა ბრძოლა, ბრძოლა გვმართებს,
მტერთან ვიყოთ მედგრად, მტრულად,

ყველანი (ჰეკვირიან)
გაუმარჯოს,. გაუმარჯოს,.
გაუმარჯოს ესრებსა,

გაბი. (შემოაღებს კარს და შემოსძახებს)
გამარჯვებას მეც კი ვეტყვი
გასწორებულ ჩვენს გერებსა.

(ყველანი იპარებიან. მიშელ უკანა კარიდგან გაიპარება).

წკვერტაძე. (კამოდის ქვეშ),
ფუ, დაასწყევლა ჩემ გამჩენმა,
სადარის არ იარება;
ისე კარგად გაგემარჯოს,,
არ მოგსწროდეს ზიარება.
მაგას სადმე რომ შევხვთები
იმ დღეს არ ვარ გუნებაზე
მთელი სუფსა სუნთქავს მაგის
მოწონება—წუნებაზე.

(გაბი ერთხანს უყურებს და შემდეგ მიდის)

„მოდი—მნახე“



მილიუკოვი. სტამბოლი, ბოსფორი და დარდანელი ჩვენთვის აუცილებელია!

რედაქტორი ეშმაკი. სტამბა გ [illegible], გაბაევის შესახვ. № 1.